ქალბატონებო, ბატონებო,

პატივცემულო საკრებულოს წევრებო,

თქვენთან შეხვედრით შემდეგი სიტყვებით დავიწყებ: მე და არა მარტო მე, ვალდებულნი ვართ პატივი მივაგოთ საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული გმირის მერაბ ახობაძის სახელს.თქვენს ყურადღებას მივაპყრობ დაბაში ერთ-ერთი ქუჩისათვის მისი სახელის მინიჭებას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს დაიწყო და დღემდე გადაუწყვეტელია. დამეთანხმებით, საკითხის დღემდე მოუგვარებლობა ჩვენი საერთო სირცხვილია. გთხოვთ, საკრებულოს წევრებს ერთობლივად ვიმუშაოათ ამ საკითხის გადასაწყვეტად.

იცით, რომ მე წელიწადში ერთხელ კანონი მავალდებულებს წარმოგიდგინოთ ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, მაგრამ როცა საკითხები გროვდება ყოველთვის ვცდილობ შეგხვდეთ და მოგცეთ ახსნა-განმარტება თქვენ და საზოგადოებას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ძალიან აჟიტირებული გახდა თემა, რომელსაც დავარქმევ სახელს: ,,დაარღვია თუ არა გამგებელმა არსებული კანონმდებლობა, კერძოდ: საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლი (პირველი პუნქტი). საკრებულოს უფლებამოსილების სფეროში კანონი გვეუბნება: ,,მუნიციპალიტეტის გამგებელს წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება აგრეთვე ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს. , ხოლო საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში (მუხლი 54, პირველი პუნქტი) „მუნიცილალიტეტის სახელით და საკრებულოს თანხმობით იღებს სესხს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.”

კითხვა იყო თუ არა პროექტი შემოსატანი თანხმობისათვის? ჩემი პასუხია არა და რატომ: არ შეიძლება თანხმობის მიღება უკვე შემდგარ ფაქტზე. როდესაც საკრებულო შესყიდვების კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელებულ ქმედებებზე ამბობს უარს, კონტრაქტი ვერ დაიდება ორგანიზაციასთან. საპირგამტეხლო ეკისრება გამგებელს, სწორედ აქ ჩნდება კაზუსის ნაწილი. გამგებელს ერთპიროვნულად არ უნდა ქონდეს გადაწყვეტილების მიღების უფლება, რომ საფრთხე არ შეუქმნას მუნიციპალიტეტის ქონებას. რაც შეეხება შპს ,,MBG”-ს მიერ

ხელშეკრულების გაუქმების გამო 450 000 ლარის უკან დაბრუნებას იგი ეტაპობრივად მიმდინარეობს, რაც გამგეობის სამსახურების კარგ მუშაობაზე მიანიშნებს.

ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ კანონს ან ახლავს კაზუსი, ან უნდა იქნას ისე წაკითხული, როგორც კითხულობს ადამიანები, რომლებიც ლოგიკიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს.

შპს. ,,ვექტორთან" მიმართებაში, რომელმაც განაახლა თეატრის მშენებლობის სამუშაოები, მოძიებული ოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, რომ მას შესრულებული აქვს სამუშაოები, კერძოდ: საქართველოს რკინიგზის 1 258 000 ლარი. ბათუმის 12 საჯარო სკოლა 738 000 ლარი, ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სარემონტო სამუშაოები- 97 000 ლარი, მახინჯაურის რკინიგზის ვაგზლის მშენებლობა 1 780 000 ლარი, ფოთის სადგურის შენობას რეკონსტრუქცია 1 497 000 ლარი, რაც ჯამში დაახლოებით 37 მილიონი ლარია. ამჟამად სამუშაოების მიმდინარეობის ტემპი იძლევა გარანტიას, რომ მშენებლობა მომავალ წელს სექტემბერში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დასრულდება.

მინდა დავამშვიდო მოსახლეობა, რომ ქსელში არსებული წყალი ხარისხიანია და სასმელად ვარგისია, რაც დადასტურებულია სურსათის უვნებლობის სამსახურის შესაბამისი დასკვნით.

გამგებლის ინფორმაციის შემდეგ საუბარი წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ირაკლი ახობაძე- ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის" თავმჯდომარე

კითხვა:

1. იურისტებთან, ექსპერტებთან გავიარე კონსულტაცია, რომლებმაც დამიდასტურეს , რომ ხელშეკრულების გაფორმებას სჭირდებოდა საკრებულოს თანხმობა.

პასუხი: აღნიშნულ კითხვას უკვე გავეცი პასუხი და იურისტებთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე კვლავ ვიმეორებ, რომ არ საჭიროებდა შესაბამის თანხმობას.

2. თქვენ თვლით შპს ,,ვექტორის" მიერ შესრულებული სამუშაოები, რომელიც დაახლოებით 37 მილიონ ლარამდეა , სააგენტოს ვებ. გვერდზე კი ვკითხულობთ, რომ მას შესრულებული აქვს 44 ათასი ლარის სამუშაოები. მაინტერესებს შპს ქვეკონტრაქტორია თუ მეორე სახელი აქვს და რატომ არ იქნა მოძიებული ეს ინფორმაცია შესყიდვების სააგენტოში?

პასუხი: ჩემს მიერ ერთი კონკრეტული ფაქტი იქნა შესწავლილი, კერძოდ მახინჯაურის რკინიგზის ვაგზლის მშენებლობა, სადაც შპს ,,ვექტორის" მიერ შესრულებული იქნა 1 780 000 ლარის სამუშაო. მიწერ-მოწერა საჯაროა ,,ვექტორთან" მიმართებაში შეგიძლიათ დამატებითი ინფორმაციის მოძიება: რატომ არ იქნა ეს ინფორმაცია თქვენს მიერ მოძიებული შესყიდვების სააგენტოში?

დავით შარაშიძე- სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

კითხვა:

მდინარე სუფსაში, წყლის მიმღებ გალერეამდე დაახლოებით 1 კმ.-ის დაშორებით ხდება ფეკალური მასების ჩადინება. როგორ მოხდება ე.წ გალერეაში ამ წყლის გაწმენდა?

პასუხი: წყლის მიმღებ გალერეაში მოხდება ბუნებრივად გაფილტრული წყლის შეკრება, შემდეგ კი ცენტრალურ მაგისტრტალურ მილზე დამონტაჟებული ფილტრების მეშვეობით წყლის შემკრებ აუზში გადატუმბვა , მისი დაქლორვა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი წყლის მიწოდება. სოფლის წყალსადენების ლაბორატორიულ შემოწმებას უზრუნველყოფს გურიის რეგიონის შესაბამისი სამსახურები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სოფლის წყალსადენების და არტეზიული ჭების წყალთან მიმართებაში ხარისხზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებს. სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებებში ეს პრობლემა მოგვარებულია.

ხომ არ გიფიქრიათ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურთან ერთად განხილულიყო საპროექტო საქმიანობის გაერთიანების საკითხი? მით უფრო როცა ჩემი გაანგარიშებით იგი გარკვეულ ეკონომიას მოგვცემს.

პასუხი: მზად ვარ ეკონომიურ ანალიზთან დაკავშირებით ერთად ვიმუშაოთ.

კომისიაში შემოვიდა გორაბერეჟოულის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ გოჩა მამალაძის განცხადება, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლი, იყო დაკავებული, განთავისუფლდა. ამჟამად ცხოვრობს სასიმინდის (ნალია) ქვეშ და ითხოვს 10-15 $მ^2$ ფართის გარემონტებას. რამდენად შესაძლებელია მისთვის დახმარების გაწევა?

პასუხი: ეს თემა ჩემთვის ცნობილია. გოჩა მამალაძემ სახლი თავადვე დაწვა. სამი დღის წინ შევხვდი მას. პრობაციის სამსახურის უფროსს კ. სირაძესთან ერთად შევხვდები დაზარალებულს, დავკონკრეტდები და შემდეგ განვიხილავ დახმარების საკითხს.

შემოსული ზარებით ირკვევა, რომ კურორტ ბახმაროში ადგილობრივი დამსვენებლები ხელისუფლებას საყვედურობს, რომ ბახმაროში უმეტეს ადგილებში არ არის წყალი და რატომ?

პასუხი: ხანგრძლივი გვალვების გამო დაშრა ის. წყლის შემკრებ რეზერვუარებში არ ჩაედინება წყალი. ძირითადად ეს გახლავთ მოსახლეობისათვის წყლის მიუწოდებლობის მიზეზი.

მამია ბარამიძე (ენმ) - საკრებულოს წევრი

კითხვა:

ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მაშინ როცა გამგეობის საშტატო ნუსხას და სტრუქტურასთან დაკავშირებით წარმოდგენილ პროექტს ვიხილავდით, გკითხეთ მიზანშეწონილად მიიჩნევდით თუ არა ზედამხედველობის სამსახურის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად გამოყოფას, პასუხად მივიღე, რომ არ იყო საჭირო ზედამხედველობის სამსახურის შექმნა ახლა, როცა ბიუჯეტის შესავსებად საჭიროა თანხების მობილიზება, მაშინ როცა მთავრობა გვთავაზობს ,,ქამრების

შემოჭერის“ პოლიტიკით მუშაობას, რამდენად გამართლებულად მიიჩნევთ არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის შექმნას? მით უფრო თუ დღემდე არ წარმოადგენდა აუცილებლობას ამ სამსახურის შექმნა.

პასუხი: თუ მუნიციპალიტეტის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნების გათვალისწინებით, თუ რა თქმა უნდა ბიუჯეტი მოგვცემს ამის შესაძლებლობას, ვფიქრობ, რომ მიუღებელი არ უნდა იყოს ახალი სამსახურის შექმნა მაშინ, როცა მისი შექმნა არსებული საშტატო რიცხოვნობის ფარგლებში ხდება.

ალეკო კვინტრაძე- საკრებულოს წევრი

კითხვა:

მივესალმები თეატრის მშენებლობის განხორციელებას. გავიკითხე და მიპასუხეს რომ ამ ეტაპზე მშენებლობაზე ძირითადად დასაქმებულები იქნებიან შპს ,,ვექტორის“ ხელმძღვანელების მიერ შერჩეული მუშა-ხელი. გეკითხებით: იგეგმება თუ არა მეორე ეტაპზე მაინც როცა საჭირო არ იქნება სპეციალური დანიშნულების მუშა-ხელი, ადგილობრივი მუშახელის დასაქმება? თუ იგი ისევ შპს-ს კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული?

პასუხი: ადგილობრივების დასაქმება აქტუალური თემაა, როგორც კი გაჩნდება მოთხოვნა, მე ვალდებული ვარ პირველ რიგში სამუშაოდ მოვიწვიო ის ადამიანები, რომლებიც წინა მშენებელმა ამუშავა და ხელფასი არ მისცა.

ოთარი სოროზანაშვილი- საკრებულოს წევრი

კითხვა:

 მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა შექმნილია არჩილ კუტალაძის მიერ. აქვს თუ არა ასეთ ადამიანებს დაფასება და რის საფუძველზე გამოვარჩევთ მას სხვებისგან?

პასუხი: გერბის და დროშის შექმნით არჩილ კუტალაძე თავისთავად გამორჩეული პიროვნებაა. ჩვენ საბედნიეროდ გვყავს გამორჩეული პიროვნებები როგორც ძველი, ასევე ახალი თაობები. რაც შეეხება საპატიო წოდებებს და ჯილდოების შემოღების და მინიჭების წესების დადგენას, მზად ვარ რომ ამ თემაზე ერთობლივად ვიმუშაოთ.

 საკრებულოს წევრმა მანანა მინდაძემ კურორტ ბახმაროს დამსვენებლების სახელით მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, შესაბამის სამსახურებს გამართული ღონისძიებისათვის და დასძინა, რომ დამსვენებლები ითხოვენ ორ კვირაში ერთხელ მაინც ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მიერ გაიმართოს კულტურული ღონისძიებები.

პასუხი: კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი შენიშვნაა. სეზონი დასასრულს უახლოვდება. მიმდინარე წელს ფერისცვალების დღესასწაულზე, -ტრადიციულ დოღზე პროგრამის შესაბამისად გაიმართება სხვადასხვა სახის

ღონისძიებები. მომავალი წლისათვის, საკურორტო სეზონის დაწყებისთანავე გათვალისწინებული იქნება შენიშვნა.